ახალი ხარაგაული

№317 (09), 13 აპრილი, 2016 წ.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა საჯარო ლექცია წაიკითხა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში საჯარო ლექცია ჩაატარა. კობა ლურსმანაშვილმა ლექცია ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში სკოლის დირექტორის, ქეთევან ჯაყელის, მიწვევით წაიკითხა. „ეფექტური მუნიციპალური მართვა“ - ასეთი იყო ლექციის სახელწოდება, რომელიც შემდეგ თემებს მოიცავდა: საზოგადოებასთან ურთიერთობის აუცილებლობა, სოფლის განვითარება და მუნიციპალიტეტში განხორციელებული ცვლილებები. კობა ლურსმანაშვილი სალექციო კურსის წაკითხვის შემდეგ სამუშაო პროცესში შეხვდა სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სასწავლო პროგრამების დარგობრივი კურსის მსმენელებს, ტრენერებსა და სკოლის ადმინისტრაციას. მოგვიანებით კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ჟვანიას სკოლაში ამავე დღეს გამართულ მედია ტურს შეუერთდა, რომლის ფარგლებშიც იგი ჟურნალისტებთან ერთად სკოლის საქმიანობას, მიმდინარე სასწავლო პროგრამებსა და უახლოეს გეგმებს გაეცნო.

ქეთევან ჯაყელი - (ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი) ,, მინდა, მადლობა გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს, იმისთვის, რომ სკოლის მსმენელს (საჯარო მოხელეებს) თავისი გამოცდილება გაუზიარა და სამომავლო რჩევებიც მისცა. იგი მართლაც გამორჩეული საჯარო მოხელეა და ჟვანიას სახელობის სახელმწიფო სკოლაში ხშირად ვიწვევთ ასეთ წარმატებულ ადამიანებს ლექციის წასაკითხად. ხარაგაული ბოლო სამი წლის განმავლობაში ძალიან წარმატებული გახდა. მუნიციპალიტეტი ნაკლებად იყო გამორჩეული სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების კუთხით, თუმცა ბოლო ორი წლის განმავლობაში ინტენსიურად წავიდა წინ და დღეს ხარაგაულის თვითმმართველობა ერთ-ერთი სასურველი პარტნიორიც კი გახდა სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის.”

ლექციის შესახებ თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს მსმენელებმაც.

„ხარაგაულის გამგებელმა საინტერესო და მნიშვნელოვან თემებზე ისაუბრა. ვთვლი, რომ სხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის ეს იყო კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება, მიაღწიო წარმატებას. ხარაგაულის შესახებ ბევრი კარგი მსმენია და მიმაჩნია, რომ იგი ნამდვილად წარმატებული მუნიციპალიტეტია, “ - გვითხრა მარნეულის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელემ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა, თურან ისმაილოვმა.

„ხშირად ვადევნებ თვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდს“ - ამბობს ჩვენთან საუბარში დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (სკოლის მსმენელი) ტარიელ ჩხუტიაშვილი და აქვე განმარტავს, რომ „კობა ლურსმანაშვილის მმართველობის პერიოდში ხარაგაულში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მუნიციპალიტეტს ბევრი მიღწევა და წარმატება აქვს და ეს მისასალმებელია. ჩემი სურვილია, დუშეთის მუნიციპალიტეტმაც გადაიღოს ხარაგაულის კარგი პრაქტიკა. რამდენადაც კარგი გამგებელი ჰყავს მუნიციპალიტეტს კობას სახით, ასევე ჰყოლია კარგი ლექტორიც. მას არაჩვეულებრივად მიჰყავს ლექცია. კონკრეტული მაგალითებით, მყარი არგუმენტებითა და დამაჯერებელი ტონით გვიხსნის და გვასწავლის, სად არის წარმატების ფორმულა“.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მადლობა გადაუხადა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორს, ქეთევან ჯაყელს და სკოლის არსებობის აუცილებლობაზე ისაუბრა - „მადლობას ვუხდი ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლის ადმინისტრაციას, განსაკუთრებით კი ქალბატონ ქეთევან ჯაყელს, რომელმაც მომცა შესაძლებლობა, ჩემი გამოცდილება გამეზიარებინა საჯარო მოხელეებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ჟვანიას ადმინისტრირების სკოლა ქუთაისში ფუნქციონირებს და იგი საშუალებას აძლევს საჯარო მოხელეებს, აიმაღლონ კვალიფიკაცია. ბედნიერი ვიქნები, თუ იმ გამოცდილებას, რაზეც დღეს აქ იყო საუბარი, სკოლის მსმენელები გაიზიარებენ და მათ ეს მნიშვნელოვანი და გარკვეული საკითხების გადაწყვეტაში გამოადგებათ. მეც ბევრი სიახლე მომცა მათთან შეხვედრამ. სკოლაში არის კარგი პროგრამები, არიან შესანიშნავი სპიკერები, რომლებიც მნიშვნელოვნად აამაღლებენ მსმენელთა კვალიფიკაციას. ყოველივე ეს კი საჯარო სპექტრის საერთო დონეს მაღლა ასწევს, რაც ესოდენ ესაჭიროებათ დღეს დასაქმებულ საჯარო მოხელეებს.“

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ქუთაისში 2005 წელს დაარსდა. სკოლაში საჯარო მოხელეთა გადამზადება ორი პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა და საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება. ამჟამად სკოლაში სამოცამდე საჯარო მოხელე გადის გადამზადებას, მათ შორის არიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებიც. საქართველოს მასშტაბით სწავლებას გადიან ამბროლაურის, ლაგოდეხის, ყვარლის, ცაგერის, ხარაგაულის, დმანისის, მარნეულის, წალკის, დუშეთის, თიანეთის, შუახევის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამებით ხელს უწყობს მათ სამოქალაქო ინტეგრაციას.

ამ ეტაპზე სწავლება ჟვანიას სკოლაში ოთხ ჯგუფად მიმდინარეობს: საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია, შესყიდვები, შიდა აუდიტი და ადამიანური რესურსების მართვა. ჟვანიას სკოლაში გადამზადების კურსს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან 4 საჯარო მოხელე გადის. ახალ ნაკადს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ივნისის თვეში მიიღებს.

ეკა შავიძე

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ 27 წელი გავიდა

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული ღამიდან უკვე 27 წელი გავიდა. ამ საშინელ თარიღსა და დაღუპულ თანამემამულეებს ქართველები მუდამ დიდი გულისტკივილითა და ცრემლმორეული თვალებით ვიხსენებთ . 9 აპრილი ქართველებისათვის ორმაგი ემოციითაა დატვირთული. ეს არის ტრაგედიისა და სიხარულის დღე. ტრაგედიისა იმიტომ, რომ საქართველომ დაკარგა საუკეთესო შვილები. სიხარულისა კი იმის გამო, რომ ზუსტად 2 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოცხადდა, რაც 9 აპრილს დაღუპული გმირების დიდი დამსახურებაა. მტერი იმ ერთ კონკრეტულ დღეს მოგვერია, დაგვწამლა, დაგვჩეხა, მოგვკლა, იფიქრა, რომ ჩააქრო ქართველებში თავისუფლების სურვილი, მაგრამ პირიქით მოხდა, „კიდევაც დავიზარდეთ“, კიდევ უფრო გავძლიერდით, გავერთიანდით და სწორედ ამას მოჰყვა შედეგად ქართველი ერის ნაოცნებარი-დამოუკიდებლობა!

27 წლის წინათ 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მაშინდელი მთავრობის სასახლის წინ ნითელმა არმიამ და შინაგანმა ჯარმა მშვიდობიანი მიტინგი სასანგრე ნიჩბების, ხელკეტებისა და გაზის გამოყენებით დაარბია. იყო უამრავი დაშავებული, 21 მოკლული, მათ შორის ერთი ჩვენი რაიონის მკვიდრი, ელისო ჭიპაშვილი.

9 აპრილის დემონსტრაციის მონაწილეთა უმთავრესი მოთხოვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსლვა იყო.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში უარყოფითად შეფასდა

4 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად საკრებულოს თავმჯდომარის გასული 2015 წლის მუშაობის შესახებ ანგარიში განიხილეს. საკითხთან დაკავშირებით დებატები გაიმართა. დეპუტატებმა მომხსენებელს(ინგა მაღრაძე) კითხვებით მიმართეს და ანგარიშთან დაკავშირებით შეფასებები გააკეთეს.

საკრებულოს თავმჯდომარეს კოლეგებთან კომუნიკაციის უქონლობაზე მიუთითა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, და ისიც აღნიშნა, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას საკრებულოს თავმჯდომარემ პრინციპულად არ დაუჭირა მხარი. „კომისიისა და ბიუროს სხდომებზე დავუსვი რამდენიმე შეკითხვა, თუმცა არგუმენტირებული პასუხები ვერ მოვისმინე. მისი პასუხები ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარეობდა. მინდა, რამდენიმე დეტალს გამოვეხმაურო: გასული წლის მუშაობის ანგარიშში საკრებულოს თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ მის მიერ განვლილი გზა და მისი ხედვები მმართველ პოლიტიკურ ძალასთან თანხვედრაში მოდის. შემიძლია, მოვიყვანო უამრავი მაგალითი იმისა, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ, ხარაგაულისთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლო პროექტების განხორციელებას მხარი არ დაუჭირა. რაც შეეხება კომუნიკაციის თანამშრომლებთან - ინგა მაღრაძეს, მგონი, არ აქვს გაგებული, რომ საკრებულო კოლეგიალური ორგანოა და აქ გადაწყვეტილებები გუნდურად და შეთანხმებულად უნდა მივიღოთ. მას არ აქვს კონსულტაციები საკრებულოს უმრავლესობასთან. უფრო მეტიც, იგი თავს იწონებს პოლონეთში მიღებული გამოცდილებით, მაშინ, როცა საკრებულოს წევრებს რატომღაც პროფესიული გადამზადების საშუალება არ მიეცათ. ჩემი მხრივ, საკრებულოს თავმჯდომარის მუშაობაში ვერც პოლონურ და ვერც ქართულ გამოცდილებას, რომელიც უკეთესობისკენ წაადგებოდა ხარაგაულს, ვერ ვხედავ. იგი ანგარიშში აღნიშნავს, რომ არის რიგი საკითხები, რომლებშიც პასუხისმგებლობას იზიარებს, არადა მისი საქმიანობა მხოლოდ კრიტიკით შემოიფარგლება. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პარტიას წარმოვადგენთ, ჩვენ ვართ ერთი გუნდის წევრები და როცა რაიმე პრობლემა წარმოიქმნება, პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა გადავინაწილოთ. ქალბატონო ინგა, როცა ამბობთ, რომ სხდომებზე ხშირად ირღვევა რეგლამენტი, ამაში თქვენს წილ პასუხისმგებლობასაც უნდა გრძნობდეთ. ჩემი აზრით, თქვენ ბიუროსა და საკრებულოს სხდომები სათანადოდ ვერ მიგყავთ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

დაბის №2 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოებისათვის 100 000 ლარი დაიხარჯება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, მოადგილეებთან,პაატა გოგოლაძესთან, თემურ ჩხეიძესა და დავით დევდარიანთან ერთად, სოფელ ფარცხნალში გზის მობეტონებისა და დაბის №2 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები დაათვალიერა.

ფარცხნალის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან 230 000 ლარით ფინანსდება და მას შ.პ.ს „დალა 73“ ასრულებს. ფარცხნალში გზის საფარი 1 200 მეტრზე დაიგება, რომლის სიგანე 4 მეტრი, ხოლო სიმაღლე 16 სანტიმეტრი იქნება. გზის მობეტონების სამუშაოები უახლოეს დღეებში დასრულდება.

რაც შეეხება ხარაგაულის №2 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოებს, რეგიონული განვითარების ფონდიდან 100 000 ლარით დაფინანსდა. სამუშაოები 21 ივლისს დასრულდება და მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შ.პ.ს. „პარმაღი“ ასრულებს.

ნადაბურში ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფი გაიხსნება

სოფელ ნადაბურში ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფის გახსნა იგეგმება. ასევე დაბის N 2 საბავშვო ბაღში 5 წლის ასაკის ბავშვებისათვის სასკოლო მზაობის ცენტრი გაიხსნება. აღნიშნულ პროექტს ხარაგაულში, საერთაშორისო ასოციაცია ,,კივიტას გეორგიკა“ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით და ადგილობრივი თვითმმართველობის პარტნიორობით ახორციელებს. 12 აპრილს საერთაშორისო ასოციაცია ,,კივიტას გეორგიკას“ სკოლამდელი განათლების პროექტის ხელმძღვანელი, ალექსანდრე კალანდაძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს, და სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორს, ირმა სებისკვერაძეს, შეხვდა და ის ადგილები მოინახულა, სადაც ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფისა და სასკოლო მზაობის ცენტრის გახსნა იგეგმება. ალექსანდრე კალანდაძის თქმით, მსგავსი პროექტი სულ 8 მუნიციპალიტეტში განხორციელდება და ძირითადად შერჩეულია ის დასახლებები, სადაც არ არსებობს სკოლამდელი სააღმრდელო დაწესებულებები. ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფები 3 და 5 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის გაიხსნება, ხოლო სასკოლო მზაობის ცენტრები ისეთ ბავშვებზეა გათვალისწინებული, რომლებიც ასაკის გამო სკოლებში ვერ შედიან. საუბარია იმ ბავშვებზე, რომლებსაც ექვსი წელი სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით უსრულდებათ.

,,გაფორმდება მემორანდუმი ადგილობრივ თვითმმართველობასა და საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას შორის. პროექტი ერთწლიანია და ამ ხნის განმავლობაში ყველანაირ ხარჯს დავაფინანსებთ. ჩვენი რესურსით მოხდება ოთახების გარემონტება და საჭირო ინვენტარით აღჭურვა. გადავამზადებთ პედაგოგებს და მათ სახელფასო ანაზღაურებაზეც ჩვენ ვიზრუნებთ. ერთი წლის შემდეგ კი ვალდებულებას ადგილობრივი ხელისუფლება აიღებს. ხარაგაულში სულ ორი ჯგუფი იქნება და ფუნქციონირებას სექტემბრიდან დაიწყებს. მაისის ბოლოს ვგეგმავთ მასწავლებელთა ტრენინგებს. ზაფხულში მოწესრიგდება ფართი და შევიძენთ საჭირო ინვენტარს. საქართველოში სულ 20 ასეთი ჯგუფის გახსნა იგეგმება“-განაცხადა ჩვენთან საუბარში საერთაშორისო ასოციაცია ,,კივიტას გეორგიკას“ სკოლამდელი განათლების პროექტის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე კალანდაძემ.

რიკოთის ახალი გზის, ჩუმათელეთი-ხარაგაულის, მშენებლობა 2017 წლიდან დაიწყება

„სახელმწიფო აშენებს რიკოთის გზის ალტერნატიულ გზას, რომელიც ხარაგაულის მიმართულებით გაივლის და ზესტაფონს დაუკავშირდება, - განაცხადა “ბიზნესკონტაქტთან” საუბარში ინფრასტრუქტურის მინისტრის ნოდარ ჯავახიშვილის მრჩეველმა, გიორგი სეთურიძემ.

“გზის სიგრძე დაახლოებით 54 კილომეტრი იქნება. დაიწყება ჩუმათელეთიდან და დასრულდება ზესტაფონის გასასვლელში. აშენდება არსებული გვირაბის პარალელური გვირაბი. გარდა ამისა კიდევ აშენდება 20 კილომეტრი საერთო სიგრძის სხვადასხვა გვირაბი, რომლის საშუალებით შევამოკლებთ გზას ქედების გარშემო”, - აცხადებს სეთურიძე.

რაც შეეხება იმას, იქნება თუ არა რიკოთის გზის ალტერნატივა ტრანსპორტისთვის ფასიანი, რომლის შესაძლებლობაზეც ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა ცოტა ხნის წინ ისაუბრა, მინისტრის მრჩეველი ამბობს, რომ ჯერჯერობით ფასიანი გზის არსებობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

“ჯერჯერობით ეს არ განიხილება, თუმცა დაუშვებელი არაფერია. ამ ეტაპზე ფასიანი მონაკვეთები გათვალისწინებული არ არის”, - ამბობს გიორგი სეთურიძე.

ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩეველის თქმით, რიკოთის ახალი გზის პირველი მონაკვეთის - ჩუმათელეთი-ხევის მშენებლობა 2017 წლიდან დაიწყება, ხოლო დარჩენილი სამი მონაკვეთის - ხევი-ზესტაფონის დაპროექტება მიმდინარე წელს დაიწყება, მშენებლობა კი 7-8 თვით გვიან, ვიდრე პირველი მონაკვეთი.

გზის პირველი მონაკვეთის მშენებლობას მსოფლიო ბანკი დააფინანსებს, ხოლო მეორეს - აზიის განვითარების ბანკი. პროექტის დაფინანსებაში სახელმწიფოს წილი 20%-ია. პროექტი, რომელიც სავარაუდოდ მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდება, 2020 წლისთვის უნდა დასრულდეს.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ 27 წელი გავიდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

1989 წლის 9 აპრილის ღამით მიტინგზე არაერთი ხარაგაულელი იმყოფებოდა.

იმ შემზარავი ღამის შემდეგ 27 წელი გავიდა და ჯერაც არ გაეცა პასუხი მთავრ შეკითხვას - თუ ვინ გასცა მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევის ბრძანება...

9 აპრილის დღესთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს 9 აპრილის მემორიალი და გაიხსენეს ის მძიმე წუთები, რომლებიც ჩვენმა სამშობლომ გადაიტანა. სპეციალურად ამ დღისათვის ხარაგაულში 9 აპრილს დაღუპულთა განახლებული მემორიალური დაფა ოფიციალურად გაიხსნა. მემორიალთან შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა და გამგებლის პირველმა მოადგილემ, პაატა გოგოლაძემ. მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს დღე, რომელსაც დიდი ტრაგედია და, ამავე დროს, დიდი გამარჯვება მოჰყვა. 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად იგალობა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მგალობელ ბავშვთა გუნდმა (რეგენტი თორნიკე ბაკურაძე), კულტურის ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა „უბისმა“ არაერთი სიმღერა მიუძღვნა დაღუპულთა სულებს. ხოლო N2 საჯარო სკოლის მოსწავლემ, თათია ჭიპაშვილმა, 9 აპრილთან დაკავშირებით ჯემალ ჯალაღონიას ლექსი - „შენ, საქართველოს იმედად“ წაიკითხა. დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ანტონმა (სულთანიშვილი).

კობა ლურსმანაშვილი - მუნიციპალიტეტის გამგებელი:

- 1989 წლის 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში შთამბეჭდავი ასოებით ჩაიწერა. ეს იყო დღე, როცა ყველა ქართველი ერთი მიზნის გარშემო იყო გაერთიანებული. იმ დღეს რუსთაველზე მამაკაცებთან ერთად ქალებიც იბრძოდნენ. რაც მთავარია, მსხვერპლი, რომელიც მთელმა ქვეყანამ გაიღო, უშედეგოდ არ ჩაუვლია.ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. რა თქმა უნდა, ამაში იმ პირების უდიდესი წვლილია, რომლებმაც თავი შესწირეს ჩვენს სამშობლოს. საქართველო არასოდეს დაიჩოქებს, სანამ ასეთი პიროვნებები ეყოლება. წლების წინ ჩვენ არჩევანის წინაშე ვიდექით. ან უნდა გვებრძოლა დამოუკიდებლობისთვის, ან უნდა შევგუებოდით ბედს, მაგრამ ქართველი ხალხი ამას არ შეეგუა და მიზანსაც მიაღწია. თვითმყოფადობისთვის ბრძოლის ჟინი ღმერთმა არ მოუშალოს ჩვენს ჯიშს და გენს. ვისურვებდი, მრავალი გმირი ქალ-ვაჟი დაიბადოს საქართველოს უკეთესი მომავლისთვის“.

პაატა გოგოლაძე - გამგებლის პირველი მოადგილე:

„უშუალო მონაწილე და თვითმხილველი ვარ იმ ბარბაროსული ქმედებებისა, რაც რუსეთის საოკუპაციო არმიამ განახორციელა ქართველი ერის წინააღმდეგ. 9 აპრილი მთელმა ქვეყანამ იგრძნო, ყველა ქართველს ეტკინა. იყო საშინელი სიჩუმე, დაბნეული ხალხი, პასუხგაუცემელი კითხვები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, ეს დღე არა მარტო ტკივილის, არამედ ამაღლებული განწყობის დღეა. დღეს თუ ჩვენ საქართველოს ხვალინდელი დღის უკეთესობისათვის ვიბრძვით, გარკვეულწილად 9 აპრილის დღეს მომხდარი ტრაგედიის დამსახურებაა.“

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში უარყოფითად შეფასდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

ანგარიშში თქვენ ასევე ამბობთ, რომ საკრებულოს კომისიებს სათანადო ხელშეწყობა აქვთ. გეტყვით, რომ კომისიები არც ტრანსპორტით არიან უზრუნველყოფილნი და არც მათ გადამზადებაზე ზრუნავს ვინმე“. - განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს საკრებულოს თავმჯდომარემ უპასუხა: „მოვითხოვ, შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის, როგორ ხდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მანქანების გამოყენება და ხარჯების აღრიცხვა. ჩემთან დაკავშირებით პრობლემას ვერ იპოვით, მაგრამ წინასწარ გეუბნებით, რომ რიგი თანამდებობის პირებს გარკვეული უხერხულობა შეექმნებათ. ამბობთ, რომ ხარაგაულისთვის მნიშვნელოვან პროექტებს არ უჭერთ მხარსო, თუ „დღის ცენტრს“ გულისხმობთ, მის ამოქმედებას კი არ ვეწინააღმდეგები, არამედ იქ არსებული პრობლემების გამოსწორების შესახებ ვსაუბრობ. პოლონური გამოცდილება ახსენეთ. დიახ, პოლონეთში მიღებულმა გამოცდილებამ მომცა საშუალება მეხელმძღვანელა იმ პრინციპებით, რითიც უნდა იხელმძღვანელოს თვითმმართველობის და წარმომადგენლობითი ორგანოს წევრმა. თქვენ, რა თქმა უნდა, ამას ვერ შეაფასებთ იმიტომ, რომ თქვენ იგივე გამოცდილება არ გაქვთ. ბოლო წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ბევრ პროექტში მაქვს ჩემი წილი მონაწილეობა მიღებული და ყველაფერი ეს ძალიან მოკრძალებულად ავსახე ჩემს ანგარიშში. ზუსტად ვიცი, რომ თქვენ მიერ გაკეთებული შეფასებები სუბიექტურია და არა საქმიდან გამომდინარე.“ - განაცხადა ინგა მაღრაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარის კომუნიკაციის პრობლემაზე ისაუბრეს საკრებულოს წევრებმა, მარინა ვეფხვაძემ და იუზა კელენჯერიძემ.

„საკრებულო ნამდვილად არ არის კაცთა შორის ურთიერთობის გარკვევის ადგილი. მსგავსი დამოკიდებულება ხელს უშლის საკრებულოს წარმატებას“ - განაცხადა იუზა კელენჯერიძემ.

დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა: „პირველ რიგში საკრებულოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობაა საკრებულოს სხდომები გახსნას და დახუროს წესების დაცვით. ვერ ნახავთ ვერც ერთ სხდომას, რომელიც რეგლამენტის დაცვითაა ჩატარებული. სხდომები იწყება დაგვიანებით და ეს უკვე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარღვევაა. აქ კოლეგებმა ისაუბრეს და მეც ვეთანხმები, საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მიმართ თქვენს არაკომუნიკაბელურ დამოკიდებულებას. ანგარიშში გაკეთებულ ყველა განცხადებაში აღნიშნავთ ხარაგაულში განხორციელებულ პროექტებში თქვენი და ხარაგაულის მაჟორიტარ-დეპუტატის წვლილს და არ გამოხატავთ მადლიერებას პარტიისა თუ საკრებულოს სხვა წევრების მიმართ. მიმდინარე წლის ბიუჯეტს და აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშს მხარი არ დაუჭირეთ. აქედან გამომდინარე, ეს თქვენი მხრიდან არასწორად გადადგმული ნაბიჯებია. ჩემი ფრაქციის სახელით გავაკეთებ განცხადებას - საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის მუშაობის ანგარიში შეფასდეს უარყოფითად.“

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ქეთევან ზუმბაძემ სხდომაზე განმარტა, რომ საკრებულოს თავმჯდომარესთან მას კომუნიკაციის პრობლემა არასდროს ჰქონია: „თუ არ მოგწონდათ, თავიდანვე არ უნდა აგერჩიათ. მახარებს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ჰყავს ქალი საკრებულოს თავმჯდომარე.“

ინგა მაღრაძის ანგარიში დადებითად შეაფასა ნადაბურის მაჟორიტარმა დეპუტატმა მიხეილ გელაშვილმა და განმარტა: „საკრებულოს თავმჯდომარე არის საკრებულოს საქმიანობის წარმმართველი. როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რომ მუნიციპალიტეტში ხორციელდება ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი, კეთდება ბევრი კარგი საქმე, ყოველივე ამას ხელს უწყობს საკრებულოს ოპერატიული მუშაობა. საკრებულოს აპარატი რომ გამართულად ფუნქციონირებს, ყოველივე ამას საკრებულოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს. ხოლო, რაც შეეხება იმას, რომელ საკითხს დაუჭერს მხარს და რომელს - არა, ეს მისი, როგორც დეპუტატის, გადასაწყვეტია და არა, როგორც თავმჯდომარის. ჩემი აზრით, როცა ამდენი სხდომა ტარდება და თან ისე, როგორც კანონმდებლობა მოითხოვს, არ შეიძლება ეს შეფასდეს უარყოფითად.“

საბოლოოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ უარყოფითად შეფასდა.

კენჭისყრაზე საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა დადებითად შეაფასეს იური ლურსმანაშვილმა, ომარ გაგოშიძემ, მიშიკო გელაშვილმა, გელა გოლუბიანმა, უჩა ბერაძემ და გოგი ლაცაბიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში უარყოფითად შეაფასა 19 დეპუტატმა: შალვა ლურსმანაშვილმა, იუზა კელენჯერიძემ, ვარლამ თავზარაშვილმა, ბესიკ ფოცხვერაშვილმა, ჯამბულ გამცემლიძემ, აზა ფურცელაძემ, მარინა ვეფხვაძემ, გივი თხელიძემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, მანანა ბარბაქაძემ, გივი ხიჯაკაძემ, ვლადიმერ ტალახაძემ, ბესიკ ტალახაძემ, დავით ლურსმანაშვილმა, დავით კინაძემ , კახაბერ ტალახაძემ, გიორგი გრიგალაშვილმა, ნონა ზურაბიანმა, ლენა აბაშიძემ.

შეფასებისაგან თავი შეიკავეს რომან შერგელაშვილმა და კობა გოგსაძემ, ასევე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა თორნიკე ავალიშვილმა, ქეთევან ზუმბაძემ და აკაკი მაჭავარიანმა.

მარიანა ბურჯალიანი

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში დადებითად შეფასდა

4 აპრილს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი მათ სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა, ზურაბ იჩქიტიძემ, გააცნო. მომხსენებლის განმარტებით, ყველა ის ხელშეკრულება, რომელსაც მუნიციპალიტეტი აფორმებს, კანონის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან სისტემაში არის განთავსებული და მონიტორინგს ტექნიკური სააგენტოს მიერ გამოყოფილი ზედამხედველობის ჯგუფი უწევს. აღნიშნული ჯგუფი ხელშეკრულებების კანონთან შესაბამისობას ამოწმებს. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია შევიდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.spa.ge-ზე და მოიპოვოს ინფორმაცია ნებისმიერ ხელშეკრულებაზე, რომელიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ გააფორმა სხვადასხვა სუბიექტთან.

ზურაბ იჩქიტიძის ინფორმაციით, 2015 წელს სახელმწიფო შესყიდების განსახორციელებლად განყოფილების მიერ 298 ხელშეკრულების პროექტია მომზადებული, რომელთა ჯამური ღირებულება 4 001 613. 43 ლარს შეადგენს. აქედან 92 ხელშეკრულება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის გაფორმდა. 206 ხელშეკრულება კი მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესასყიდად გააფორმა.

საკრებულოს წევრი იური ლურსმანაშვილი დაინტერესდა, ის დარღვევები, რომლებზეც შესყიდვების კუთხით აუდიტის დასკვნაშია მითითებული, ფიქსირდება თუ არა მიმდინარე წელს. როგორც ზურაბ იჩქიტიძემ აღნიშნა, მსგავსი დარღვევები 2016 წელს აღარ ფიქსირდება.

ბორითის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მანანა ბარბაქაძემ, ყურადღება გაამახვილა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით და იკითხა, ამ მიმართულებით ტენდერები როდის გამოცხადდება.

„მთავრობამ გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების საშუალება იმ სამუშაოებზე, რომლებიც სოფლის პროექტებს ეხება. მას შემდეგ, რაც პროექტები შეთანხმებული იქნება ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, გამოცხადდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და სისტემა 3 დღეში გამოავლენს გამარჯვებულ მომწოდებლებს.“ - განმარტა ზურაბ იჩქიტიძემ.

დეპუტატებმა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში დადებითად შეაფასეს.

მარიანა ბურჯალიანი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა იმერეთის რეგიონის წარმომადგენლებთან საჯარო შეხვედრა გამართა

8 აპრილს ქუთაისში იმერეთის რეგიონის წარმომადგენლებთან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ორგანიზებული საჯარო შეხვედრა გაიმართა. საჯარო შეხვედრა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურმა აუდიტორმა ლაშა თოდრიამ და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა—გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ გახსნეს. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ: იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის—გუბერნატორის პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე, იმერეთის მხარის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, არასამთავრობო სექტორი და სხვა მოწვეული სტუმრები. მათ შორის იყვნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

აღნიშნულ შეხვედრაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა საჩხერის, ჭიათურის, წყალტუბოს, ბაღდათის, ხარაგაულისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტებისას გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები განიხილეს და შესაბამის რეკომენდაციებზე ისაუბრეს. რა ხარვეზები გამოვლინდა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში შესყიდვების და შესრულებული სამუშაოების ნაწილში; რა დანაკარგები განიცადა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებმა და აღმოფხვრეს თუ არა ის ხარვეზები, რომლებზეც მიუთითა მათ აუდიტმა - ამ თემებზე აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა შეკრებილ საზოგადოებას პრეზენტაცია წარუდგინა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის, ლაშა თორდიას განმარტებით, აღნიშნული შეხვედრები აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. როგორც შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, გიორგი მამრიკიშვილიმა, აღნიშნა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა აუდიტის მიერ გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგა.

მარიანა ბურჯალიანი

ტყის განახლების პროექტის ფარგლებში სოფელ მარელისში აქცია ჩატარდა

5 აპრილს სოფელ მარელისში ტყის განახლების პროექტის ფარგლებში 2 500 ძირი აკაციის, იფნისა და წიწვოვანი ხის ჯიშის ნერგები დაირგა. აქცია იმერეთის სატყეო სამსახურისა და სამხარეო ადმინისტრაციის ორგანიზებით განხორციელდა.

ტყის განახლების პროექტი პერმანენტულად გაგრძელდება და იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტს მოიცავს.

აქციაში მონაწილეობა მიიღო იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილემ, იოსებ ხახალეიშვილმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა, იმერეთის სატყეო სამსახურის უფროსმა, მამუკა ცინცაძემ, ხარაგაულის სატყეო უბნის უფროსმა, ვლადიმერ მანჯავიძემ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

იოსებ ხახალეიშვილი - იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილე:

„იმერეთის სატყეო სამსახურისა და სამხარეო ადმინისტრაციის მორიგი ერთობლივი აქცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გაიმართა. სოფელ მარელისში სხვადასხვა ხის ჯიშის ნერგები დაირგო. იმერეთის სატყეო სააგენტოსთან ერთად მსგავსი აქციების ჩატარება კვლავაც გაგრძელდება. აღნიშნული აქციის ფარგლებში აპრილის თვეში მთლიანად მოვიცავთ იმერეთის მხარეს. მადლობას ვუხდი ხარაგაულის მუნიციპალიტეტს აქციის კარგად ორგანიზებისათვის.“

კობა ლურსმანაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

„შესანიშნავი აქცია განხორციელდა სოფელ მარელისში. ჩვენ მოვახდინეთ მეჩხერული ტყის ნაწილის განაშენიანება. აქცია რეგიონული და ადგილობრივი სატყეო სამსახურების ერთობლივი მობილიზებით განხორციელდა. მიგვაჩნია, რომ ტყე ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნისთვის, ასევე ხარაგაულისთვის. არის ადგილები, სადაც ტყეს შველა სჭირდება. მოხარული ვარ, რომ ორგანიზებულად ჩაერთნენ აქციაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურები. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობასა“ და „ხარაგაულდასუფთავებას“. ასევე ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს, რომელთაც მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში.“

თამარ მაღრაძე

მასწავლებლის ვალიდან ვერასოდეს ამოვალთ!

რამდენი რამ გვსმენია იმ ტკბილსა და თბილ ურთიერთობაზე, რომელიც მასწავლებელსა და მოსწავლეს აკავშირებს. ეს ის ხორცშესხმული სიყვარულია, რომლითაც ოსტატი სულს უფაქიზებს შეგირდს და შემდეგ კი იმკის ამ საპატიო შრომის შედეგს.

ახლა მინდა, მთავარი სათქმელი გაგიზიაროთ. ეს ეხება წიგნს, რომელიც სულ ახლახან მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ. ესაა ღვაწლმოსილი პედაგოგის, მერი გიორგიძის, ავტორობით გამოსული წიგნი „იზა ვეფხვაძე - დიდ წინაპართა გამცოცხლებელი“.

წიგნი შეიძლება ბევრმა შექმნას, ბევრმა დაწეროს მავანზე, თუ რამდენად აქვს ამის უფლება და რამდენად აუცილებელია - ეს სხვა თემაა. აღნიშნული წიგნის მიზანი კი ცხადზე ცხადია. რასაკვირველია, ზედმეტად მიმაჩნია იმის შეხსენება, თუ ვინაა წიგნის პერსონაჟი. ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელი, რეჟისორი და მსახიობი ქალბატონი იზა ვეფხვაძე ის პიროვნებაა, რომელმაც საქვეყნოდ წარმოაჩინა ხარაგაული, ამ მიწაზე მოარული ნიჭიერება და ერთხელ კიდევ შეგვახსენა, რომ დიდ საქმეთა კეთება პერიფერიებშიც ადვილადაა შესაძლებელი. ალბათ უკეთეს საჩუქარს ვერც ინატრებდა ორმოცდაათწლიანი ცხოვრების საიუბილეო დღეებში ქალბატონი იზა, როცა ძალიან გვიან შეიტყო, რომ, თურმე მისი სიტყვიერების მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი, მერი გიორგიძე, დიდი რუდუნებით აგროვებდა ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ პრესაში შემოქმედ ქალბატონზე გამოქვეყნებულ სტატიებს, ნარკვევებსა და მადლიერების გამომხატველ წერილებს. აი, რა განათავსა სოციალურ ქსელში პირად გვერდზე იზა ვეფხვაძემ:

„რა სიტყვები შეიძლება მოიხმო იმ მადლიერების, კეთილგანწყობისა და სიყვარულის გამოსახატავად, როცა პედაგოგი მთელი ცხოვრება მოგყვება ნაბიჯ-ნაბიჯ, გულისფანცქალით გადევნებს თვალს და ისევე ახარებს შენი წარმატება და სიხარული, როგორც 30-35 წლის წინ, როცა თეთრბაფთიანი და სასკოლო ფორმიანი გოგონა, ქართულ ენასა და ლიტერატურაში გაკვეთილს ვუამბობდი, თან თვალებში ვუმზერდი, სადაც ყველაზე კარგად ირეკლებოდა მისი შეფასება, რომელსაც სულ მალე საკლასო ჟურნალში გადაიტანდა...

მე უკვე 50 წლისა ვარ, ის კი - 77-ის. დიდი დრო გავიდა, რაც დაიხურა ჩემი კლასის ჟურნალი, ათეული წლებია, ჩემთვის აღარც ნიშანი ჩაუწერია ჩემი სიტყვიერების პედაგოგს და კლასის დამრიგებელს - მერი გიორგიძეს....

მაგრამ ის დღემდე, როგორც მასწავლებელი, ისე მოჰყვება ჩემს ცხოვრებას. ჩემი ცხოვრების გზაზე პირველი მიდგას გვერდით სიხარულსა თუ გასაჭირში, ის დღესაც ჩემი ცხოვრების მასწავლებელია და არა მარტო...

შემომაშველეთ სიტყვა, რა ვუწოდო იმ გრძნობას, მოსწავლეობის წლებიდან დღემდე რომ მომყვება, თუნდაც ამ წიგნისთვის, რომელიც ჩემი დაბადებიდან 50 წლისთავისთვის მოამზადა და რომლის შესახებაც სწორედ ახლა მივიღე ინფორმაცია, რომ რამდენიმე დღეში წიგნი მზად იქნება... ეს კი წიგნის გარეკანია...

ჩემი მერი მასწავლებელი, ჩემი სიტყვიერების პედაგოგი, ჩემი ცხოვრების დამრიგებელი და გამნათებელი....ეს წიგნი კი საკლასო ჟურნალში ჩაწერილი ყველაზე საუკეთესო ნიშანია, რომელიც მოსწავლემ შეიძლება მიიღოს და დაიმსახუროს პედაგოგისგან...

მადლობა უფერული სიტყვა�ა... მე ეს არ დამიმსახურებია, მე ჩემი სამშობლოსთვის ჯერ არაფერი ღირებული არ შემიქმნია, თუ არ ჩავთვლით სურვილს ღირსეულად მსახურებისას და უსაზღვრო სიყვარულს...

მასწავლებლის ვალიდან ვერასოდეს ამოვალთ, ისევე, როგორც სამშობლოს ვალიდან...

ეს კი ერთადერთი სასიამოვნო ვალია, რომელსაც ღირსებით ატარებ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ვერ იხდი....“

მასწავლებლის ღვაწლის ესოდენ გულწრფელ შეფასებას მოჰყვა გამოხმაურება. უამრავი შეფასებიდან რამდენიმეს გთავაზობთ:

ივანე ჯაფარიძე (საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი): „ამაზე უკეთესი საჩუქარი, მე მგონი, არც არსებობს! არც კი გამიგია, მასწავლებელს თავის მოსწავლეზე წიგნი შეექმნას. ეს იმას ნიშნავს, მასწავლებელმა მიზანს მიაღწია და მართვე არწივად აქცია! დიდი მადლობა ქალბატონ მერის! ისე, ეს ფაქტი ყველა მასწავლებლისთვის საუკეთესო მაგალითია.“

ნინო ნანიტაშვილი (იზა ვეფხვაძის თანაკლასელი, ჟურნალისტი): „ორივეს გილოცავთ, ჩემო ძვირფასებო. ორივე ახლობელი და საყვარელი ადამიანები ხართ ჩემთვის და კიდევ, ბედნიერი ვარ იმით, რომ თქვენი ურთიერთსიყვარული და პატივისცემა ასე ახლო და გაუხუნარია“

ანდრია შარიქაძე (ინჟინერი): „იმაზე მეტი მაღალფარდოვანი სიტყვის მარაგი ნამდვილად არ გამაჩნია, რაც ქალბატონმა იზამ წარმოთქვა მასწავლებლის მიმართ. მე მხოლოდ დავამატებ ერთს: მასწავლებელი არის ქვეყნის, ერის, სახელმწიფოს ძლიერების საწყისი, და, მართლაც, იშვიათი შემთხვევაა, როდესაც მასწავლებელი წერს თავის მოსწავლეზე სამადლობელ წიგნს, რითაც გამოხატავს თავის სიხარულს და მადლობას უხდის თავის მოსწავლეს; ხედავს თავისი შრომის შედეგს, რაც ყოველგვარ ანგარებას აღემატება. მადლობა მერი მასწავლებელს, ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე, იზა ვეფხვაძეს კი - სამომავლო წარმატებები.“

* * *

ბოლოს კი მინდა, დავესესხო ლევან ბერძენიშვილს: „ადამიანი არ არის აღზრდის ობიექტი, ის არის განვითარების სუბიექტი“. მასწავლებელი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ არ გაიგო და შეიმეცნა აღსაზრდელის ბუნება. მისი მთავარი დანიშნულებაც ესაა - აპოვნინოს ბავშვს მიზანი და დაეხმაროს მის განხორციელებაში. ეს მუდმივი პროცესი - დაეხმაროს მოსწავლეს განვითარებაში - შესისხლხორცებული აქვს ქალბატონ მერის. პედაგოგს, რომელიც თავისი განსაკუთრებული შინაგანი კულტურის, კეთილშობილების წყალობით და ღრმა გულწრფელობით ერთბაშად გხიბლავს და თავისთავად განგაწყობს დადებითად. იგი გვერდით უდგას თავის უსაყვარლეს მოსწავლეს ცხოვრების ყველა ეტაპზე. ეს წიგნიც მისი სიყვარულის, პატივისცემისა და იმედების გამართლების დოკუმენტია. წიგნი ძალზე სასიამოვნო საკითხავია. ავტორი ძალდაუტანებლად, სავსებით ბუნებრივად და უშუალოდ გხდით თანაზიარს იმ აღიარებისა, რასაც მესამე საჯარო სკოლის (ყოფილი რკინიგზის N10 სკოლის) აღზრდილმა, იზა ვეფხვაძემ, მოიპოვა. ამის მთავარი მასაზრდოებელი წყარო კი ის უკიდეგანო სიყვარულია, რასაც ქალბატონი იზა სიტყვითა და საქმით გამოხატავს თავისი უსაყვარლესი ხარაგაულისა და ხარაგაულელთა მიმართ. გმატებთ სიამაყეს, რომ ხართ ამ ნიჭიერი ქალბატონის თანამედროვე.

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო, მწვანე შუქი თქვენი გულებისაკენ მშვენიერ წიგნს „იზა ვეფხვაძე - დიდ წინაპართა გამცოცხლებელი!“

ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲐ ᲑᲣᲠᲯᲐᲚᲘᲐᲜᲘ

საქართველოში NATO-ს ᲯᲕᲘᲠᲔᲣᲚᲡ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ - ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲐ

4 აპრილს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO-ს) კვირეული საქართველოში ოფიციალურად გამოცხადდა. აღნიშნულ თარიღს კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ლექცია - სემინარით შეუერთდა. NATO-ს კვირეულთან დაკავშირებით თავისუფალი უნივერსიტეტის მომავალ დიპლომანტთა კლუბის წევრებმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპულ-ქართული ინსტიტუტის“ წარმომადგენლებმა შალვა ჩხეიძემ, რევაზ თოფურიამ და გიორგი მელაშვილმა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის, ბორის სკოლა - პანსიონის, კიცხის, ხარაგაულის N2 და N3 საჯარო სკოლების უფროსკლასელთათვის NATO-ს შესახებ ლექცია წაიკითხეს.

კვირეული NATO-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოში NATO-ს სამეკავშირეო ოფისისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდება.

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 28 სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია, რომლის მიზანს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება წარმოადგენს. დასავლეთ ევროპაზე საბჭოური გავლენის აღმოსაფხვრელად და ევროპის სახელმწიფოების დაცვის მიზნით, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ათი ევროპული და ორი ჩრდილოამერიკული ქვეყნის მიერ დაფუძნდა.

NATO-ს კვირეულთან დაკავშირებით დასკვნითი ღონისძიება 6 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კინოთეატრის ფოიეში გაიმართა. ღონისძიებაზე იმ ხუთი სკოლის გუნდს შორის, სადაც NATO-სა და ევროკავშირის შესახებ ლექცია - სემინარები ჩატარდა, ინტელექტუალური კონკურსი - რა? სად? როდის? გაიმართა. კონკურსში მონაწილე თითო გუნდი სამი უფროსკლასელი მოსწავლით იყო დაკომპლექტებული. კონკურსი ერთ ეტაპად ჩატარდა და გუნდებმა 18 კითხვას უპასუხეს. ქულათა რაოდენობით პირველ ადგილზე ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის გუნდი გავიდა. ხოლო მეორე ადგილი ბორის სკოლა-პანსიონმა დაიკავა. რაც შეეხება მესამე ადგილს, მას დაბის N2 საჯარო სკოლა დაეუფლა. გამარჯვებულ გუნდებსა და მონაწილეებს ორგანიზატორებისგან საჩუქრად წიგნები და სიგელები გადაეცათ.

„4 აპრილიდან მთელი კვირის განმავლობაში საქართველოში NATO-ს კვირეული მიმდინარეობდა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო მინისტრთა აპარატმა ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში და საინფორმაციო ცენტრმა NATO-სა და ევროკავშირის შესახებ სხვადასხვა პროგრამები განახორციელეს. მათთან ერთად ღონისძიებაში ჩართული იყო ა/ო „ევროპულ-ქართული ინსტიტუტი“. სწორედ მათი დაფინანსებით ჩავატარეთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლაში ლექცია-სემინარები. დასკვნითი ინტელექტუალური კონკურსის შედეგებმა კი ის სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენა, თუ რა ცოდნა შეიძინეს მოსწავლეებმა ჩვენ მიერ NATO-სა და ევროკავშირის შესახებ ჩატარებული ლექცია - სემინარებიდან,“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპულ-ქართული ინსტიტუტის“ წარმომადგენლმა შალვა ჩხეიძემ.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲚᲦᲠᲐᲫᲔ

ხარაგაულის გიმნაზიის XII ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲡᲮᲘᲚᲐᲫᲔ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚ „ᲤᲐᲜART-ᲘᲡ“ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ

ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის XII კლასის მოსწავლე თამარ სხილაძე ფესტივალ „ფანART-ის“ რჩეულია. თამარმა ფესტივალის შესარჩევ კონკურსში, ლიტერატურის ჟანრში მიიღო მონაწილეობა და კონკურსის ერთ-ერთი რჩეული გახდა. ფესტივალი ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ტარდება. ფესტივალის მეხუთე დღე ლიტერატურას დაეთმო. დათო ტურაშვილმა კონკურსანტებიდან არჩევანი თამართან ერთად კიდევ 6 მონაწილეზე შეაჩერა და ლიტერატურის მოყვარულებს ახალბედა მწერლები - თამარ სხილაძე, ნინო ჭინჭარაული, ქეთი მათითაიშვილი, თემურ ზოიძე, გიორგი ახალკაციშვილი, ქეთა ბაღაშვილი და მანანა ვეკუა გააცნო. ახალბედა მწერლების შემოქმედებას კონსულტანტი ლიტერატურის დარგში - დათო ტურაშვილი აფასებდა.

საღამოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის, სპორტული და კულტურული პროგრამების დეპარტამენტის უფროსი თეა ყიფშიძე და დათო ტურაშვილი უძღვებოდნენ.

„პროზა გარკვეულ ასაკს და გამოცდილებას ითხოვს. ნამუშევრების შერჩევისას გავითვალისწინე მათი ნიჭი, სითამამე და პოტენცია. ადამიანები ვინც ლიტერატურას ქმნიან მუდმივად სჭირდებათ თანადგომა და ამისთვის მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს.“ - აღნიშნა მწერალმა დათო ტურაშვილმა.

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის, სპორტული და კულტურული პროგრამების დეპარტამენტის უფროსი თეა ყიფშიძე: „თუ პრეტენზია გვაქვს, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი საზღვრებს სცდებოდეს, ამ სტატუსის მოსაპოვებლად ხანდახან ჩვენშიც უნდა მიმოვიხედოთ და ისეთებს აღმოვაჩენთ, რომელთა სახელზეც ფსონი გაბედულად შეგვიძლია დავდოთ. „ფანART-ის“ ფესტივალია, სადაც ისეთი ახალგაზრდები მონაწილეობენ, რომლებიც ხელოვნების სფეროში ქვეყნის წარმატებას განსაზღვრავენ. მრავალჟანრობრივი ფესტივალი საქართველოში უკვე მეოთხე წელია იმართება და იგი ხელოვნების 10 მიმართულებას მოიცავს.“

ღონისძიებას ცენტრის უფროსთან, გიგა გაბელაიასთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე რევაზ ჯაველიძე ესწრებოდა. საღამომ თბილ და სასიამოვნო გარემოში ჩაიარა. ფესტივალ „ფანART-ის“ დახურვა 31 მარტს გაიმართა.

ხარაგაულში „ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲮᲛᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

1 აპრილს ხარაგაულის კინოთეატრში ფესტივალ „იმერეთის ხმის“ შესარჩევი კონკურსი გაიმართა. კონკურსში მონაწილეობა ლეღვნის, ხევის, ვაშლევის, დაბის N2 საჯარო სკოლის და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეებმა მიიღეს და იგი ორ ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდა.

ჟიურის მიერ მეორე ეტაპისთვის შერჩეულ იქნენ: წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები ნინო რამიშვილი (X კლასი), თათული ლურსმანშვილი (VII კლასი) და მარიამ მანჯავიძე (VII კლასი).

ფესტივალ „იმერეთის ხმის“ შემდეგი ეტაპი ქუთაისში აპრილის ბოლოს გაიმართება. ადგილზე შერჩეული საუკეთესო მომღერლები საკონკურსო სიმღერით ჟიურის წინაშე ოპერის თეატრში წარსდგებიან. მონაწილეები შედევრებს ქართული კინო მუსიკიდან შეასრულებენ.

პროექტის მიზანია, იმერეთის რეგიონში ქართული სიმღერის, როგორც ეროვნული ფენომენის, პოპულარიზაცია, ახალგაზრდა, ნიჭიერ მომღერალთა წარმოჩენა, მომავალ თაობაში ქართული სიმღერისადმი ინტერესის გაღვიძება.

ფესტივალს კომპეტენტური ჟიური შეაფასებს, რომლის შემადგენლობაშიც ცნობილი სახეები იქნებიან. ჟიურის თავმჯდომარე ქალბატონი მარიკა კვალიაშვილი გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის „იმერეთის ხმის“ გამარჯვებული და მთავარი პრიზის, გრან-პრის მფლობელი, ხარაგაულელი სალომე კვირიკაშვილი გახდა.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲐᲣᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ

2 აპრილი აუტიზმის ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო დღეა. საქართველოში რამდენიმე წელია, ამ დღეს განსაკუთრებულად აღნიშნავენ.

აუტიზმის მსოფლიო დღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. გამგებლის მოადგილემ, თეიმურაზ ჩხეიძემ, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, ნანა კიკნაძემ და ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვარლამ ჭიპაშვილმა, ბაზალეთში მცხოვრები აუტიზმის მდგომარეობაში მყოფი 5 წლის სოსო მოინახულეს. მას საჩუქრები გადასცეს და სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

აუტიზმი ფსიქიკის ისეთი მდგომარეობაა, როცა ინდივიდს ჩაკეტილი ცხოვრება ახასიათებს და ის, გარესამყაროსგან სრული მოწყვეტით, მისსავე შექმნილ არარეალურ სამყაროში ცხოვრობს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა აუტიზმის მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს ფულადი დახმარება გაუწია.

„ᲢᲧᲣᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔ“ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲛᲐ ᲞᲝᲡᲢᲣᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ

1 აპრილს მეგობრების, ოჯახის წევრების და ნათესავების მოტყუების ტრადიცია ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული. უწყინარი ტყუილებით, ბევრი ღიმილით და ცეკვა-სიმღერით იყო დატვირთული ღონისძიება, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში (დირექტორი ვასილ კიკნაძე) გაიმართა. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ: გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ირინე ჩხეიძე, გამგებლის მრჩეველი ტურიზმის საკითხებში, მამუკა ჭიპაშვილი და ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი.

ღონისძიება კოსტუმირებული კარნავალის სახით ჩატარდა. კულტურის ცენტრის თანამშრომლები ერთთავად ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ თავადებად, კნეინებად, ბოშა ქალებად და მზარეულებად გარდაიქმნენ.

დადგმული იყო მცირე წარმოდგენები. ღონისძიების „ტყუილების საერთაშორისო დღე“ მონაწილეებმა თავს გადახდენილი კურიოზები გაიხსენეს და საღამოს მეტად მხიარული და საინტერესო ელფერი შესძინეს. კმაყოფილი იყო სტუმარიც და მასპინძელიც.

უწყინარი ტყუილებით გაჯერებული, კოსტუმირებული კარნავალი კულტურის ცენტრის თანამშრომლებმა ერთობლივად მოამზადეს. ღონისძიების ორგანიზატორი და წამყვანი, ცენტრის მთავარი სპეციალისტი, მაია ბერაძე, გახლდათ, ხოლო იდეის ავტორი ამავე ცენტრთან არსებული სახალხო თეატრის რეჟისორი ლუიზა კიკნაძე.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲒᲐᲜ ᲡᲐᲭᲣᲥᲠᲐᲓ 1000 ᲪᲐᲚᲘ ᲗᲣᲗᲘᲡ ᲜᲔᲠᲒᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, „მეაბრეშუმეობის განვითარების პროექტის“ ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან საჩუქრად 1000 ცალი თუთის ნერგი გადაეცა. თუთის ნერგები სოფლებში მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად გადანაწილდა: სარგვეში-25, მოლითი-50, კიცხი-300, (ერთ ფერმერს გადაეცა მთლიანად), ხიდარი-50, საღანძილე-15, ხევი-150, ხუნევი-50, ბორითი-50, ნადაბური-35, ვახანი-50, ღორეშა-50. ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურცენტრს თუთის 100 ცალი ნერგი გადაეცა, რომლებიც საჯარო სკოლების მიხედვით გადანაწილდება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტი, ვაჟა მაჭავარიანი, აღნიშნავს, რომ თუთის ნერგები მხოლოდ აბრეშუმის ჭიისთვის საკვებად გამოიყენება, ის მსხმოიარე არ არის და ნაყოფს არ იძლევა. მისივე ინფორმაციით, აღნიშნული პროგრამა შესაძლებელია, გაგრძელდეს და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ნერგები მომავალშიც გადმოეცეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით „მეაბრეშუმეობის განვითარების პროგრამას“ ახორციელებს. აღნიშნული თუთის ნერგები სამინისტროს ღვინის კომპანია „ასკანელმა ძმებმა“ გადასცა, ნერგები უზბეკეთიდანაა ჩამოტანილი.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტის, ვაჟა მაჭავარიანის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. დახვნის ღირებულება 1ჰა- 140 ლარია და ბენეფიციარებს შპს „მექანიზატორის“ 9 ერთეული ტრაქტორი მოემსახურება. საჭიროების შემთხვევაში შპს „მექანიზატორის“ ზესტაფონი სერვის ცენტრიდან შესაძლებელი ქნება ტექნიკის დამატება. ამჟამად მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების პროგრამის ფარგლებში სოფელ კიცხში მოხნულია 48 ჰა მიწა. მთლიანობაში, ამ ეტაპისათვის პროექტის ფარგლებში 100 ჰა - მდე მიწის ნაკვეთია მოხნული.

მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტის მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობით პროექტით 11 736 ბენეფიციარი ისარგებელებს, აქედან 8 116 ხვნის ბარათით, ხოლო 3 620 -აგრობარათით. თუ მოსარგებლე, ბარათის გამოყენების წესის შესაბამისად, ვერ ახერხებს დაამუშაოს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ამ შემთხვევაში შეუძლია ბარათი დააბრუნოს გადასაცვლელად. რის შემდეგაც ფართობის შესაბამისად აგრობარათზე დაერიცხება ქულები, 1ჰა-ზე გადაანგარიშებით 140 ლარი. შეგახსენებთ, რომ ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა-დან 1,25 ჰა-ს ჩათვლით მიწის ნაკვეთი მიიღებენ სახნავ ბარათს ჰექტარზე -140 ლარის გაანგარიშებით , ხოლო ფერმერებს რომელთა მიწის ფართობი 0,25 ჰა-მდეა აგრობარათზე დაერიცხებათ 50 ლარი.

აგრობარათი „ლიბერთი ბანკის ფილიალებში“ გაიცემა, ბარათზე არსებული თანხის განაღდება შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო მაღაზიებში. ბენეფიციარს შესაძლებლობა ექნება შეიძინოს პროექტით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო საქონელი (სასუქი, სათესლე მასალა, მცენარეთა მოვლის საშუალებები). აგრობარათებით სარგებლობა 20 მარტიდან - 1 ნოემბრამდე იქნება შესაძლებელი.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲓᲐᲑᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს ინიციატივითა და სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის ხელშეწყობით მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის კალათბურთის ჩემპიონატი ჩატარდა.

6 აპრილს, სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრში ჩემპიონატის ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრა გაიმართა. ჩემპიონატს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე და ა/ო „ადამიანი, კანონი, თავისუფლების” დამფუძნებელი გიორგი ჭულუხაძე ესწრებოდნენ.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს ბორისა და ნადაბურის სკოლები დაუპირისპირდნენ. გამარჯვებული ნადაბურის სკოლა გახდა. მეორე ადგილი ბორის სკოლამ, ხოლო — მესამე ვერტყვიჭალის საჯარო სკოლამ დაიკავა. საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ პირველ და მეორე ადგილზე გასულ გუნდებს საჩუქრები გადასცა.

„ᲩᲮᲔᲠᲘᲛᲔᲚᲐᲡ“ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

12 აპრილს სოსო და მურთაზ აბაშიძეების სახელობის სტადიონზე ხარაგაულის „ჩხერიმელამ“ მორიგი კალენდარული მატჩი გამართა და წალენჯიხის „სქურს“ უმასპინძლა. თამაში მეტად საინტერესოდ წარიმართა და „ჩხერიმელას“ გამარჯვებით 1:0 დასრულდა. ამ გამარჯვებით საფეხბურთო გუნდმა სატურნირო ცხრილში პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘ !

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი აცხადებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის ელექტრონულ აუქციონს დანართი N1-ის შესაბამისად.

ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: eauction.ge და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ვებ გვერდზე : WWW.kharagauli.ge

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური,9 აპრილის ქუჩა N15.

ტელეფონები: 599852641; 599852593; 599852638

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კუთვნილი სარგებლობის უფლებით იჯარით გადასაცემი უძრავი ქონება. დანართი N1

N რიგზე	ობიექტის მდებარეობა (მისამართი)	ობიექტის დასახელება	შენობის ფართი კვ.მ.	ობიექტის ფიქტიური მდგომარეობა	ქონების სარგებლობაში გადაცემის (საიჯარო)საწყისი წლიური ქირა ლარი.	"ზე"-ს თანხა	ბიჯი ლარი
1	სოფელი ბორითი	სავაჭრო ცენტრი. ს/კ 36.03.41.024	99,54	კედლებზე და ჭერზე დაზიანებულია არსებული საფარი,დაზიანებული აქვს ელექტრომომარაგება.	1920	192	192
2	სოფელი ღორეშა	მაღაზია N1. ს/კ 36.06.32.341	36,87	ფართი გარემონტებულ მდგომარეობაშია	708	71	71
3	სოფელი ღორეშა	მაღაზია N2. ს/კ 36.06.32.341	37,14	ფართი გარემონტებულ მდგომარეობაშია	714	71	71
4	სოფელი ღორეშა	სარიტუალო დარბაზი ს/კ 36.06.32.341	357,17	ფართი გარემონტებულ მდგომარეობაშია და უნდა იმუშაოს სარიტუალო დარბაზად.	6840	684	684
5	სოფელი მარელისი	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი,ს/კ36.15.39.286	3204	წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, არასწორი რელიეფით და სხვადასხვა სახის ხეებიცენარეებით	1344	134	134

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12